ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2364882

ნომერი: AR1365449

თარიღი : 21.12.2015

გაცემის თარიღი : 28.12.2015

გაცნობის თარიღი : 28.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფიზკულტურის , N 24 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ფიზკულტურის , N 26 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორიშვილი , (ფიზკულტურის) N24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა გონაშვილი პ/ნ 65002003200
- თბილისი ვ.ბოჭორიშვილის ქ. N 33

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

## გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1365449 განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქალაქ თბილისში, #01.10.13.023.158 საკადასტრო ერთეულზე მიმდინარე მშენებლობასთან და ეჭვი შეგაქვთ სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ფიზკულტურის ქუჩა , №24 /ქალაქი თბილისი, ფიზკულტურის ქუჩა №26 /ქალაქი თბილისი, ბოჭორიშვილი (ფიზკულტურის) ქუჩა №24–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.10.13.023.158) სამსახურის მიერ 2014 წლის 20 ნოემბრის #1604205 ბრძანებით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისათვის. ხოლო 2014 წლის 01 დეკემბრის #1619958 ბრძანებით გაცემულია მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომლის მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრებოდა: 2014 წლის 02 დეკემბრიდან 2017 წლის 02 თებერვლის ჩათვლით.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ #1604205 20.11.14წ. და #1619958 01.12.14წ. ბრძანებები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქალაქ თბილისის მერთან, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან საქმისწაროებას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის 2012-2015 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. დაინტერესებაში არსებული ობიექტის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში საკადასტრო კოდის (№01.10.13.023.158) მითითების შემთხვევაში.